

ელექტრონული იდენტიფიკაციის გამოწვევები საქართველოს საჯარო
მმართველობის სფეროში

ლიკა სიხარულიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022

განაცხადი

“როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

ლიკა სიხარულიძე

29.06.2022

მადლობა

პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ნაშრომის ხელმძღვანელ ბატონ მერაბ ლაბაძეს, სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. ასევე, განსაკუთრებული მადლობა სიღრმისეული ინტერვიუს მონაწილეებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს ანალიზის სამსახურის ყოფილი უფროს, გიორგი ლობჯანიძეს და ელექტრონული მმართველობის საერთაშორისო ექსპერტ, ირაკლი გვენეტაძეს, საინტერესო საუბრისა და მასალების გაზიარებისთვის.

მადლობა საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების კურსის ხელმძღვანელ, ბატონ არჩილ აბაშიძეს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზანად ისახავს გამოიკვლიოს ელექტრონული იდენტიფიკაციის გამოწვევები საქართველოს საჯარო მმართველობის სფეროში. გამოავლინოს სამთავრობო სერვისების მისაღებად ელექტრონული პირადობის მოწმობის დანერგვასა და მის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები და ასევე, აღწეროს იდენტიფიკაციის რა ძირითად საშუალებებს იყენებს საჯარო სექტორი. განიხილოს სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც აფერხებს სისტემის გამართულად ფუნქციონირებას.

ნაშრომის ფარგლებში განხილულია ID ბარათის პროგრამები და ელექტრონული ფუნქციები, მისი გამოყენების წარმატებული მაგალითები ესტონეთისა და მოლდოვის სახით. ამასთანავე, აღწერილია ID ბარათის, როგორც სანდო იდენტიფიკაციის საშუალება მომხმარებელთა პირადი მონაცემების დაცვის თვალსაზრისით, გამოყენების მაჩვენებლები სამთავრობო სერვისების მისაღებად.

ნაშრომში წარმოდგენილი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა ფაქტორები, რომლებიც აფერხებს მომხმარებლებში ელ სერვისებით მარტივად, სახლიდან გაუსვლელად ზედმეტი რესურსების დანახარჯების გარეშე სარგებლობას.

და ბოლოს გაანალიზებულია სანდო ელექტრონული იდენტიფიკაციის განვითარების სამომავლო პერსპექტივები სამთავრობო სერვისების მისაღებად ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით. მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა ID ბარათის პროგრამისა და ელ. სამთავრობო სერვისებით სარგებლობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ელ-მმართველობა, ავთენტიფიკაცია, ელ-სერვისები, e-ID, ციფრული ხელმოწერა.

Abstract

The thesis given below aims to investigate the challenges of electronic identification in the field of Public Administration in Georgia. Identify problems related to the introduction and usage of e-ID for Government Services and also describe the main means of identification used by the Public sector. Consider the Socio-economic and political aspects that hinder the proper functioning of the ID card system. Within the frames of the thesis, discusses ID card applications and electronic functions, successful examples of its use in the form of Estonia and Moldova. In addition, indicators of the usage of ID card as a means of reliable identification in terms of protection of consumers' personal data, the use of government services.

As the result of the Quantitative and qualitative research methodology presented revealed factors that prevent users from using e-services easily, without leaving home and spending extra resources.

At the end of the thesis, the possible future perspectives the development of credible electronic identification for Government services based on European experience are analyzed. Increasing the awareness of Georgian citizens about the ID card program and the use of electronic services.

Key words: E- governance, Authentication, e-services, e-ID, digital signature.